


ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის I კვარტლის ბიუჯეტის (იანვარ -მარტის თვის)
შესრულების ანგარიში

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 23 დეკემბერს N31 დადგენილებით 22869.0 ათასი ლარის ოდენობით. დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა განსაზღვრულია 3097.4 ლარი. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად განსაზღვრულია 230,0 ათასი ლარით. კაპიტალური ტრანსფერი 2867.4 ათასი ლარით.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 19719.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის 11967.7 ათასი ლარი გადასახადების სახით, აქედან ქონების გადასახადი შეადგენს 2600.0 ათას ლარს, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი 1275.0 ათას ლარს, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 10.0 ათას ლარს, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 65.0 ათას ლარს, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 1250 ლარს. დამატებითი ღირებულების გადასახადი განისაზღვრა 9367.7 ათასი ლარით. სხვა შემოსავლები (არასაგადასახადო) 7751.9 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა 52.0 ათასი ლარით.

შემოსავლები ხვედრითი წილის მიხედვით მთლიან ბიუჯეტში ასე გამოიყურება:



2020 წლის იანვარ - მარტში ბიუჯეტის მიმართ ცვლილება მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებით განხორციელდა 4-ჯერ, ხოლო მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით ბიუჯეტის დაზუსტება მოხდა 3-ჯერ (მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 იანვრის N51 81, 7 თებერვლის N51 204 და 28 თებერვლის N51 366 ბრძანებებით), რის შედეგად ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 29433.9 ათასი ლარით. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები შედგენს 7661.6 ათასი ლარს. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად **1097.7** ათას ლარს. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად 865.0 ათას ლარს, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 4423.7 ათ ლარს. სოფლის მხარდამჭერ პროგრამაზე 823.7 ათასი ლარს, მაღალმთიანი განვითარების ფონდიდან 451.6 ათასი ლარს.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა **21720.3** ათასი ლარით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები **11967.7** ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლები **9752.6** ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **52.0** ათასი ლარით.

2020 წლის პირველი იანვრისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **4559.9** ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **991.0** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **3568.9** ათას ლარს . მათ შორის:

#	ფულადი სახსრების ნაშთი	თანხა
1	2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით სულ	4559875
2	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	
3	რეგრესის პენსია საქ.პრეზიდ.26.12.07წ #771 განკ.	5591.17
4	საქ მთავრ. 26.05.2012წ N972 განკ.მიწისძვრით დაზარალ. დასახმარებლად	15400
5	საქ.მთ.18.01.2018 წლისN136 განკ. გზების რეაბილიტაცია	97961.56
6	საქ.მთ.13.06.2017წ. N1213 განკ.სატიქიის შედეგების სალიკვიდაც.ღონისძ.განსახორციელებლად	2000
7	საქ.მთ.12.07.2017წ N1454 განკ.წყლის სისტემის რეაბილიტ.	20752.52
8	მიზნობრივი ტრანსფერი	14368
9	სკოლოების რეაბილიტაცია	1006
10	საქ.მთ.31.12.2018წ. N2577 განკ.გზების რეაბილიტ.	31307.49
11	საქ.მთ.18.012019წ.N13 განკ.სკოლების რეაბილიტ.	13707.4
12	საქ.მთ.18.012019წ.N13 განკ.სკოლების ტრანსპორტირების	18567.94
13	საქ. მთავრობი 22.01.2019წ N45 განკ.სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	11707.96
14	საქ. მთავრობის 15.03.2019წ.N558 განკ. სტიქია	66736.94
15	საქ. მთავრობის 15.03.2019წ.N554განკ. ამბულატორია	797.83

16	საქ. მთავრობის 12.042019წ.N815განკ. გზების რეაბილიტაცია	451594
17	საქ. მთავრობის 10.07.2019წ.N1596 მუნიციპალიტ მიერ განსახორც. ღონისძიებები(სხვადასხვა განკარგ.დარჩენ.ნაშთების გაერთიანება)	239498
18	სულ ც/ ბიუჯეტიდან	990996.81
19	საკუთარი ნაშთი	3568878.19

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის I კვარტლის (იანვარ-მარტის თვის) ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ანალიზი


დასახელება	გეგმა I კვ.	საკასო I კვ	პროცენტი
შემოსავლები	5066.0	4722.2	93.2
გადასახადები	2400.0	2252.2	93.8
გრანტები	1075.3	1067.9	99.3
სხვა შემოსავლები	1590.7	1402.1	88.1
არაფინანსური აქტივების კლება	18.0	42.7	237.2
სულ შემოსულობები	5084.0	4764.9	93.7
ფინანსური აქტივების ცვლილება (კლება)	809.2	298.6	
ფინანსური აქტივების ცვლილება (ზრდა)			
სულ შემოსულობები ფ/ა კლების ჩათვლით	5893.2	5063.5	85.9

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის (იანვარ-მარტის) თვის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი ფინანსური აქტივების ცვლილების (კლება) გარეშე განისაზღვრა 5084.0 ათასი ლარით, ფინანსური აქტივების ცვლილების (კლება) ჩათვლით 5893.2 ათასი ლარით), საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 4764.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 5084.0 ათასი ლარის 93.7 %. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიუჯეტში შემოსულია **1470.8** ათასი ლარით მეტი შემოსულობები. (2019 წლის იანვარ-მარტის ფაქტიური შემოსულობები შეადგენდა 3294.1 ათას ლარს).

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივის ცვლილება(კლება) გეგმით

განსაზღვრა 809.2 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად ფინანსური აქტივის კლებამ შეადგინა 298.6 ათასი ლარი.

სახეობების მიხედვით 2020 წლის I კვარტლის ფაქტიური შემოსულობების ხვედრითი წილი მთლიან ბიუჯეტში



შემოსავლები

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის იანვარ-მარტის თვის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლებიდან (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები):

I. გადასახადების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 2252.2 ათასი ლარი, პირველი კვარტლის გეგმის 2400.0 ათასი ლარის 93.8 % და წლიური გეგმის 11967.7 ათასი ლარის 18.8 % და როგორც დიაგრამიდან ჩანს მთლიანი ბიუჯეტის შემოსავლების 47%, ანუ პირველ კვარტალში შემოსავლების ძირითადი ნაწილი გადასახადებზე მოდის. სახეობების მიხედვით:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია სულ 153.8 ათასი ლარი, გეგმა განსაზღვრული არ ყოფილა, აქედან იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) შემოსულია 139.2 ათასი ლარი, სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწიდან ქონების გადასახადი 14.6 ათასი ლარი.

დამატებითი ღირებულების გადასახადი შემოსულია 2098.4 ათასი ლარი პირველი კვარტლის გეგმის 2400.0 ათასი ლარის 87.4 %.

II. გრანტები საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში

მობილიზებული იქნა 1067.9 ათას ლარი, მთლიან შემოსავლებში გრანტებმა შეადგინა 22% მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩაირიცხა 854.6 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად 213.3 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები 2020 წლის პირველი კვარტლის (იანვარ-მარტის) გეგმით განსაზღვრული 1590.7 ათასი ლარის ნაცვლად ფაქტიურმა შესრულებამ 1402.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 88.1 %-ია. მთლიან შემოსავლებში სხვა შემოსავლების ხვედრითმა წილმა 2019 წელში 30% შეადგინა.


სხვა შემოსავლებიდან პროცენტები დარიცხული საბიუჯეტო სახსრების ყოველდღიურ ნაშთზე მომსახურე საბანკო დაწესებულებაში, შემოსულია 61.6 ათ ლარი, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი ჩაირიცხა ბიუჯეტში 782.5 ათ. ლარი გეგმის (1000.0 ათასი ლარის) 78.3 %. მათ შორის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი ჩაირიცხა 781362 ლარი, ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 200 ლარი, წყლის რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 18 ლარი, გადამფრენი ფრინველების ამოღებიდან 30 ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი 880 ლარი. შენობა-ნაგებობების იჯარა შემოსულია 5.4 ათ. ლარი, (გეგმა 2.0 ათასი ლარი), მიწის იჯარა 0.8 ათ. ლარი. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი 1.7 ათ.ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 506.0 ათასი ლარი, გეგმა 500.0 ათასი ლარი. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 2.3 ათ. ლარი, გეგმის 5.0 ათასი ლარის 46.2% სანქციებიდან და ჯარიმებიდან შემოსავალმა შეადგინა 24.5 ათ. ლარი, (გეგმა 25.0 ათასი ლარი) შესრულებულია 98.2 %-ით. აქედან საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო მეურნეობის წესების დარღვევისთვის შემოსული ჯარიმა შეადგენს 18.7 ათას ლარს, სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის 5.8 ათ. ლარს. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი, შემოსულია 17.3 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ცვლილებით (კლებით) იანვარ -მარტის თვეში ბიუჯეტში შემოსულია 42.7 ათ. ლარი, გეგმით განსაზღვრული იყო 18.0 ათასი ლარი, შესრულება შეადგენს 237.2%-ს. შემოსავალი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან.

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის I
კვარტლის (იანვარ-მარტის თვის) ბიუჯეტის ასიგნებები**

მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ბიუჯეტის გადასახდელები I კვარტალში (იანვარ - მარტის თვეში) განისაზღვრა **5893.2** ათასი ლარით. გაწეულმა საკასო ხარჯვამ შეადგინა **5063.5** ათასი ლარი, ათვისებულია გეგმიური მაჩვენებლის **85.9** %.

**ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის I კვარტლის ბიუჯეტის
გადასახდელების ხვედრითი წილი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით
გამოსახული პროცენტულ მაჩვენებლებში მთლიან ბიუჯეტთან**



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჭიათურის მუნიციპალიტეტის
2020 წლის I კვარტლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შესრულების ანალიზი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება (ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების) ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (ათას ლარებში)			
დასახელება	გეგმა	შესრულება	შესრულების %
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	850.0	731.0	86.0
ეკონომიკური საქმიანობა	980.9	818.8	83.5
გარემოს დაცვა	435.6	366.1	84.0
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	284.1	250.6	88.2
ჯანმრთელობის დაცვა	38.2	35.0	91.6
დასვენება , კულტურა,რელიგია,სპორტი,	995.6	925.9	93.0
განათლება	1506.8	1223.3	81.2
სოციალური დაცვა	802.0	712.7	88.9
სულ ხარჯები	5893.2	5063.5	85.9

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან:

1. მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებას მოხმარდა პირველ კვარტალში 731.0 ათასი ლარი, გეგმიური ხარჯების 850.0 ათასი ლარის 86 % მ.შ. მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა 729.0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების შეძენას მოხმარდა 2.1 ათასი ლარი. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ასიგნებებიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასაფინანსებლად მიმართული იქნა 147.5 ათ. ლარი. დაფინანსდა 96.9 %-ით. (გეგმა 152.3 ათასი ლარი), მუნიციპალიტეტის მერიის დასაფინანსებლად 555.2 ათ. ლარი, დაფინანსდა 84.5 %-ით (გეგმა 657.5 ათ.ლარი). ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობას მოხმარდა 28.3 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის

დაფინანსებაზე იქნა მიმართული. დაფინანსდა 86.8 %-ით (გეგმა 32.6 ათ. ლარი).
თანამშრომელთა გადამზადების პროგრამაზე განსაზღვრული 5.7 ათასი ლარი
2020 წლის პირველ კვარტალში დარჩა აუთვისებელი.

2. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი იქნა პირველ კვარტალში 138070 ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, კერძოდ ა) 64840 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 14 იანვრის N51 45 ბრძანების შესაბამისად. ბ) 59748 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 13 თებერვლის N51 227 ბრძანების შესაბამისად. დ) 11176 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 30 იანვრის N51 146 ბრძანების შესაბამისად. ე) 2306 ლარი გაიცა მერის 2020 წლის 28 თებერვლის N51 365 ბრძანების შესაბამისად.
3. მერიის სარეზერვო ფონდიდან 2020 წლის I კვარტალში გამოყოფილი იქნა 65051 ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, მათ შორის: ა) მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 იანვრის N51 80 ბრძანების შესაბამისად საცხოვრებელი სახლებისა და ფასადების აღსადგენად გამოყოფილი იქნა 18250 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 22 იანვრის N51 95 ბრძანების, 12 თებერვლის N51 222 ბრძანების და 12 თებერვლის N51 223 ბრძანების საფუძველზე ახალგაზრდული პროგრამის ღონიძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი იქნა შესაბამისად 1200 ლარი, 1930 ლარი და 990 ლარი. მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 13 თებერვლის N51 230 ბრძანების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიას გამოეყო 880 ლარი, ევროპის რეგიონთა ასამბლეას 2020 წლის საწევროს შესატანად, მუნიციპალიტეტის მერის 18 თებერვლის N51263 ბრძანებით სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი იქნა 5100 ლარი, სპორტული ობიექტების აღჭურვა რეაბილიტაციისათვის 2260 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 06 მარტის N51 423 ბრძანებით სოფელ თაბაგრების დაზიანებული ხიდის აღსადგენად საპროექტო სამუშაოებისათვის 1500 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 17 მარტის N51 517 ბრძანებით წირქვალის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდ-ბოგირის აღსადგენად 25413 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 18 მარტის N51 525 ბრძანებით ზოგადი განათლების არაფინანსური აქტივების შეძენის მუხლით გამოეყო 6483 ლარი, საცხოვრებელი სახლების ფასადების აღსადგენად 45 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 2020

წლის 25 მარტის N51 567 ბრძანებით ახალგაზრდული პროგრამების ღონისძიებებიდან ლიტერატურულ მუსიკალური სადამოს ორგანიზატორის ერთჯერადი ფულადი დახმარებისთვის 1000 ლარი,

4. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე განსაზღვრული ასიგნებების საკასო შესრულება 2020 წლის იანვარ - მარტის თვეში შეადგენს **1069.4** ათას ლარს, დაფინანსდა **84.5** %-ით (გეგმა **1265.0** ათასი ლარი) მათ შორის: ა). საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე გაიხარჯა **698.4** ათასი ლარი (გეგმა 827.6 ათასი ლარი), საიდანაც გზების რეაბილიტაციას მოხმარდა 505.7 ათასი ლარი, ხიდებისა მოაჯირების აღდგენა მშენებლობაზე 1.5 ათასი ლარი, საყრდენი კედლების აღდგენა მშენებლობაზე 103.0 ათასი ლარი, ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების, კიბეების, მოედნების მოსაწყობად 88.2 ათასი ლარი, ბ). წყლის სისტემის განვითარებას მოხმარდა 10.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 98.0%-ით, (გეგმა 10.2 ათასი ლარი), მათ შორის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 2.1 ათასი ლარი, შპს „ჭიათურის წყალის“ დაფინანსებაზე 7.9 ათასი ლარი. გ). გარე განათებაზე დაიხარჯა 142.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 93.3 %-ით (გეგმა 153.0 ათასი ლარი), რაც მთლიანად გარე განათების ქსელის ექსპლოატაციას მოხმარდა. დ). მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირებაზე გაიხარჯა 120.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 78.5%-ით (გეგმა 153.3 ათასი ლარი).

ე). მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებას მოხმარდა 32.9 ათასი ლარი (გეგმა 35.0 ათასი ლარი), რაც მიმართული იქნა საცხოვრებელი სახლების ფასადების აღდგენაზე. ვ). მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე განსაზღვრული იყო 70.0 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 65.0 ათასი ლარი, თანხა მოხმარდა მწვანე ნარგავების განაშენიანებასა და სკვერების მოვლა - პატრონობას, დაფინანსდა 92.9%-ით. ზ). სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი იყო 13.9 ათასი ლარი, ფაქტიურად პირველ კვარტალში თანხა არ იქნა ათვისებული. თ). სასაფლაოების შემოსალობად განსაზღვრული 2.0 ათასი ლარიც დარჩა ათვისებული.

5. დასუფთავებასა და გარემოს დაცვაზე გაიხარჯა 366.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 84.0%-ით (გეგმა 435.6 ათასი ლარი), აქედან დასუფთავებასა და ნარჩენების გატანაზე განსაზღვრული 434.1 ათასი ლარიდან ათვისებული იქნა 366.1 ათასი

ლარი, ხოლო სანიაღვრე არხების აღდგენაზე გამოყოფილი 1.5 ათასი ლარი დარჩა აუთვისებელი.

6. განათლების ღონისძიებებზე გაიხარჯა **1223.3** ათასი ლარი, დაფინანსდა 81.2 %-ით (გეგმა 1506.8 ათასი ლარი), აქედან სკოლამდელი დაწესებულებების (გაერთიანებული საბავშვო ბაღი) დაფინანსებაზე მიმართული იქნა 726.0 ათასი ლარი. დაფინანსდა 78.1%-ით (გეგმა 930.0 ათასი ლარი), ხოლო 316.1 ათასი ლარი სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა რეაბილიტაცია, მშენებლობას მოხმარდა (გეგმა 326.8 ათასი ლარი). ზოგადი განათლების ხელსეწყობის პროგრამას მოხმარდა 181.2 ათასი ლარი (გეგმა 250.0 ათასი ლარი), კერძოდ ბავშვების საცხოვრებელი ადგილებიდან სკოლამდე ტრანსპორტირებას.
7. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 93.0 %-ით გეგმით განსაზღვრული იყო 995.6 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 925.9 ათასი ლარი საიდანაც: ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე განსაზღვრული 437.3 ათასი ლარიდან, ფაქტიურად გაიხარჯა **421.4** ათასი ლარი, აქედან რაგბის სპორტული სკოლა დაფინანსდა 97.4 ათასი ლარით, N27 სპორტული სკოლა 216.9 ათასი ლარით. ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტსკოლა 52.5 ათასი ლარით. სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაციას მოხმარდა 54.6 ათასი ლარი, ბ) კულტურის სფეროს განვითარებას მოხმარდა **493.6** ათ. ლარი, გეგმით განსაზღვრული თანხის, 547.0 ათასი ლარის 90.2%. აქედან N1 სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 65.9 ათასი ლარით, N2 სამუსიკო სკოლა 42.8 ათასი ლარით, სახვითი ხელოვნების სკოლა 16.4 ათასი ლარით, ცენტრალური ბიბლიოთეკა 67.0 ათასი ლარით, კულტურის შემოქმედებითი ცენტრი 254.5 ათასი ლარით, ჭიათურის თეატრზე გაიცა 47.1 ათასი ლარი. გ). ახალგაზრდული პროგრამების დასაფინანსებლად მიმართული იქნა **10.9** ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით განსაზღვრული 11.3 ათასი ლარის, დფინანსდა 96.5%-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული იქნა წარმატებული ახალგაზრდების ჯილდოების გაცემა, სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხარჯების დაფინანსება და ა.შ. დ). რელიგიის ღონისძიებებზე 2020 წლის პირველ კვარტალში თანხა არ ყოფილა გამოყოფილი
8. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გახარჯული იქნა 2020 წლის პირველ კვარტალში **747.7** ათასი ლარი, დაფინანსდა 89.0 %-ით. (გეგმა **840.2** ათასი ლარი), აქედან 1

ა) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოხმარდა **35.0** ათ. ლარი. დაფინანსდა 91.6 % (გეგმა **38.2** ათ.ლარი). აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვის სუბსიდირებას მოხმარდა 31.7 ათასი ლარი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მხარდამჭერი პროგრამები დაფინანსდა 3.3 ათასი ლარით.


ბ) სოციალურ პროგრამებზე გაიხარჯა **712.7** ათასი ლარი, დაფინანსდა 91 %-ით (გეგმა **802.0** ათ.ლარი). მათ შორის: ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოც. დაცვაზე მიმართული იქნა **294.0** ათ. ლარი (გეგმა 305.1 ათასი ლარი) , უმწეო და მიუსაფარი მოქალაქეთა კვებაზე (უფასო სასადილო) გაიხარჯა **28.3** ათასი ლარი (გეგმა 48.3 ათასი ლარი), ომის ვეტერანთა დახმარებაზე **47.5** ათასი ლარი, (გეგმა 47.5 ათასი ლარი), ომის ვეტერანთა დაკრძალვაზე **0.5** ათ.ლარი, (გეგმა 0.8 ათასი ლარი) ოჯახებისა და ბავშვების დახმარებაზე **305.1** ათ. ლარი (გეგმა 360.4 ათასი ლარი), სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად **7.5** ათასი ლარი (გეგმა 10.0 ათასი ლარი). სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოც დაცვაზე გაიხარჯა 29.8 ათ. ლარი (გეგმა 30.0 ათასი ლარი). მათ შორის დევნილთა სოც დაცვაზე 5.2 ათასი ლარი, ხანდაზმულებზე 14.0 ათასი ლარი, მარჩენალდაკარგულებზე 9.8 ათასი ლარი, ტერიტორიული მთლიანობისთვის დალუკულთა ოჯახებზე 0.8 ათასი ლარი.

2020 წლის პირველი აპრილისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **4261.3** ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის 18თანხებზე **1498.2** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **2763.1** ათას ლარს . მათ შორის:

N<	ფულადი სახსრების ნაშთი	თანხა
1	2020 წლის 01 აპრილის მდგომარეობით სულ	4261269
2	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	
3	რეგრესის პენსია საქ.პრეზიდ.26.12.07წ #771 განკ.	5591.17
4	საქ. მთავრ.26.05.2012წ.N972 განკ. მიწისძვრ.დაზ. დასახმარებლად	15400

5	საქ.მთავრ.12.07.2017წ N1454 წყლის სისტემის რეაბილიტაცია	20752.52
6	საქ.მთ.18.01.2018 წლის N136 გზების რეაბილიტაცია	97961.56
7	მიზნობრივი ტრანსფერი	8148
8	სკოლოების რეაბილიტაცია	1006.86
9	საქ. მთ. 31.12.2018 წ. N2577 განკ. გზების რეაბილიტაცია	31307.49
10	საქ.მთ.18.01.2019წ N13 სკოლების რეაბილიტაცია	8757
11	საქართ.მთ 22.01.2019წ N45 განკ.სოფლის მხარდამჭ.პროგრამა	11707.96
12	საქართ. მთ. 15.03.2019წ. წ N558 განკ.სტიქია	9559.7
13	საქართ. მთ. 15.03.2019წ. წ N554 განკ. ამბულატორია	797.83
14	საქ.მთ.12.04.2019წ.N815 გზების რეაბილიტაცია	451594
15	საქართ. მთ. 10.07.2019წ.N1596 განკ.მუნიციპალიტ.მიერ განსახორც. ღონისძ.	129903
16	საქ. მთ. 09.01.2020წ. N27 სკოლის მოსწ. ტრანსპორტირების	645715.93
17	საქ.მთ.18.12.2019წ. N2630 გზების რეაბილიტაცია	60000
18	სულ ც/ ბიუჯეტიდან	1498203.02
19	საკუთარი ნაშთი	2763065.98

გივი მოდებაძე



მერი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია